საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

ცაგერის რაიონის პრეფექტურისა და რაიონული საკრებულოს ორგანო

№ 114 (6491) 12 დეკემბერი ხუთშაბათი 1991 წელი ფასი 6 კაპიკი

გამოიწერეთ! გამოიწერეთ!

ყველა საფოსტო განყოფილებაში მიმდინარეობს ხელმოწერა მომავალი 1992 წლისათვის რაიონულ გაზეთ „ლეჩხუმზე“.

რესპუბლიკაში ჭალალდის მწვავე დეფიციტის, გაზეთის მომზადებისათვის საჭირო სხვა მასალების გაძვირების გამო მოიმატა ხელმოწერის ფასმა და წლით ხელმოწერის ფასია 10 მანეთი და 80 კაპიკი, 6 თვით—5 მანეთი და 40 კაპიკი.

ხელმოწერა მიიღება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე „სოიუზპეჩატის“ რაიონულ განყოფილებასა და კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის საფოსტო განყოფილებაში ყოველდღე.

გამოიწერეთ გაზეთი „ლეჩხუმი“. იგი თქვენი მუშაგლიური გაზეთია და თქვენი ჭირ-ვარამის გამზიარებელი იქნება.

პრეფექტურაში ეკონომიკური აზროვნების გზით

რაიონის პრეფექტურაში გაიმართა საწარმო-ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისა და საანგარიშო დარგის მუშაკთა თათბირი.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდა პრეფექტურის ეკონომიკის რეგულირებისა და პროგნოზირების განყოფილების გამგე რამაზ კოპალიანი.

დღევანდელ სიტუაციაში, აღნიშნა მან, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკის სწორ მართვას, პროგნოზირებას, იმის ნიჭსა და უნარს, როგორ დავაღწიოთ თავი ეკონომიკურ კრიზისს, როგორ განვავითაროთ ესა თუ ის დარგი, რა ძოსაზრებები და წინადადებები გვაქვს საამისოდ, რა ოპტიმალურ გზებს ვხედავთ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

დაევალა საწარმო-ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს დროულად გააკეთონ ანალიზი მიმდინარე წლის მიახლოებითი ეკონომიკური ძაჩვენებლებისა და მომავალი წლის პროგნოზის შესახებ.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდა რაიონის პრეფექტის პირველი მოადგილე გიორგი ჯიაძე.

სიმშვიდე დავუბრუნოთ ადამიანებს

10 დეკემბერს პრეფექტურის სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ რაიონის საწარმო-ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, საკრებულოთა გამგებლები, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

შეკრება გახსნა რაიონის პრეფექტმა **ტარიელ ალავიძემ.** შეკრების მოწვევა, აღნიშნა მან, განაპირობა რაიონში არსებულმა ძძიმე ოპერატიულმა ვითარებამ, დანაშაულობათა ზრდამ და იმის აუცილებლობამ, რომ ერთობლივად გამოვძებნოთ ოპტიმალური გზები ადამიანთა დაცვისა და სიმშვიდის უზრუნველსაყოფად.

მიმდინარე წლის 9 თვეში რაიონში არსებულ ოპერატიულ ვითარებაზე ინფორმაცია გააკეთა პროკურატურის გამომძიებელმა დათო ონიანმა. მშრალმა, ზოგადმა სტატისტიკამ, ბუნებრივია, ვერ დააკმაყოფილა შეკრების მონაწილენი.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდა შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსი ალეკო ხაბულიანი.

შეკრების მონაწილეებს მიესალმა და გაეცნო შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსი ამბროსი ლეკვა.

თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს მელსი ყურაშვილმა, რამაზ კოპალიანმა, კარლო კოპალიანმა, ოლეგ გიორგობიანმა და სხვებმა.

დღეს ლეჩხუმში, ოდითგან მშვიდ და კურთხეულ კუთხეში, გახშირდა ქურდობა, ყაჩაღობა, მკვლელობა, ყველანაირი დანაშაული. ადამიანები პირდაპირ ფსიქოზში არიან და ეძებენ გამოსავალს, როგორმე დაიბრუნონ სიმშვიდე და ნორმალური ყოფა. დანაშაულთა უმრავლესობა გაუხსნელია. ამით გათამამებული დამნაშავეთა სამყარო კიდევ უფრო აფართოებს თავისი მოქმედების არეს. ასეთ შემთხვევაში ადამიანებივის მოჰკითხავენ, თუ არა მილიციას, პროკურატურას... სამართალდამცავი ორგანოები კი ცდილობენ თავიდან აიცილონ პასუხისმგებლობა. მართალია, მილიციის უფროსის მოადგილე ვალერი ხაბულიანი.

ციას შეუვსებელია პროფესიონალი კადრებით, განყოფილებას არ ჰყავდა უფროსი, საზოგადოებრივი მხარდაჭერაც - არ არის დამაკმაყოფილებელი. მაგრამ მთავარია, როგორც მათ პირში უძრახეს, არ არის სურვილი, თავდადება, ობიექტურობა, სიმართლე, პიროვნული ღირსება მილიციის მუშაკისა, რომ მას ჰქონდეს ავტორიტეტი და ხალხის თანადგომა. ითქვა, რომ თუ საზოგადოება მხარს არ უჭერს მილიციას, მან თავის თავში უნდა ეძიოს ამის მიზეზი. მწარედ გააკრიტიკეს განყოფილება იმის გამო, რომ არაერთი დანაშაული, და დამნაშავე (მოიყვანეს ფაქტები), რომლებიც საზოგადოებისათვის ცნობილია, მიიჩქმალა.

სამართალდამცავ ორგანოებს დაევალათ არა მარტო იმ დანაშაულობათა ობიექტური მხილება, რომელიც (ღმერთმა არ ქნას) მოხდება ხვალ, არამედ უკან გადახედვა მომხდარის გახსნის მიზნით.

* * *

მწვავე, მისამართიანი, ჯანსაღი კრიტიკა გვაძლევს იმედს, რომ სამართალდამცავი ორგანოები რადიკალურად გარდაქმნიან მუშაობას.

საქართველოს რესპუბლიკის ცაგერის რაიონის პრეფექტის

განკარგულება

1991 წლის ბოლომდე და 1992 წლის პირველ კვარტალში მუშაობის სპეციალური რეჟიმის დაწესების შესახებ

1. სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით მომარაგებაში შექმნილი მწვავე დეფიციტის გამო საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილების შესაბამისად 10 დეკემბრიდან რაიონის ტერიტორიაზე მოქმედ კოოპერატივებს, კომერციულ მაღაზიებს და ინდივიდუალური საქმიანობის ობიექტებს სამუშაო დღის ხანგრძლივობა დაუწესდეთ 10 საათიდან 15 საათამდე (შესვენების გარეშე):

—ცეკავშირის სისტემის სავაჭრო ობიექტებს (სასურსათოს გარდა) 10 საათიდან 17 საათამდე;

—რაიონის სასურსათო ვაჭრობის ობიექტებს 9 საათიდან (შესვენების გამოყენებით) საღამოს 19 საათამდე; კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებს—14 საათიდან საღამოს 20 საათამდე (გარდა კულტურის განყოფილებისა).

რაიონის სხვა წარმოება-დაწესებულებებს და ორგანიზაციებს 8 საათიდან 17 საათამდე შესვენების გამოყენებით).

2. აიკრძალოს ელექტროენერგიის გამოყენება:

—ინდივიდუალურ სათბურებში დასხივებისა და დათბუნვის მიზნით.

—ინდივიდუალური საქმიანობის ობიექტებზე (თონე, სამწვადე, ელექტროშედუღებითი სამუშაოები, ყოველგვარი ხახის დაზგადანადგარები, ჩარხები და სხვა ტექნოლოგიური პროცესებისა გამოყენების მიზნით.

3. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სპეციალური გადაწყვეტილებით დიკრძალოს ქვის დამამუშავებელი კოოპერატიული და კერძო საწარმოების მუშაობა.

4. რაიონის ჯანმრთელობის დაცვის, კავშირგაბმულობის, პურკომბინატის და ავტოსატრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელებმა ავტონომიური ელექტროკვების განსახორციელებლად გამონახონ საშუალებანი დიზელ-გენერატორებით ელექტროენერგიის მიღებისათვის.

5. ცაგერის რაიონის საქსელო უბანმა და ენერგოგასაღებამ, საკრებულოებმა განახორციელონ მკაცრი კონტროლი ელექტროენერგიის მოხმარების სფეროში, განსაკუთრებით არამიზნობრივი ხარჯის აღსაკვეთად.

—ენერგოგასაღების უბანმა დაწესოს კონტროლი აღნიშნული განკარგულების შესრულებაზე და მიიღოს ზომები ელექტროენერგიის გათიშვამდე იმ პირების და საწარმო-დაწესებულებების მიმართ, რომლებიც არღვევენ დადგენილ წესს და ინფორმაცია გაუკეთოს რაიონის პრეფექტურას კვირაში ერთხელ.

—გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქციამ სისტემატურად გააშუქოს მასალები ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვის შესახებ.

რაიონის პრეფექტი ტარიელ ალავიძე.

ქ. ცაგერი, 10 დეკემბერი, 1991 წ.

წიგნის მოყვარულთა რაიონული ორგანიზაციის პლენუმი

გაიმართა წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რაიონული ორგანიზაციის პლენუმი.

პლენუმში გახსნა პრეფექტურის შრომისა და სოციალური საკითხების განყოფილების გამგემ გულვერ ბრეგვაძემ.

დამსწრეთ ესაუბრა და წიგნის მოყვარულთა საზოგადოების წესდება გააცნო საზოგადოების პასუხისმგებელმა მდივანმა მარინე ბუბაშვილმა.

პლენუმმა აირჩია საზოგადოების გამგეობა და წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური კონფერენციის დელეგატები.

* * *

პლენუმის შემდეგ მწვავე პოლემიკა გაიმართა რაიონში არსებული კრიმინოგენური სიტუაციის გამწვავების გამო.

ყურადღება!

ზემდგომი ორგანოების დადგენილებით მიმდინარე წლის 9 დეკემბრიდან (ორშაბათიდან) საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ძალაში შევიდა ტელეგადაცემათა შეზღუდული მუშაობის განრიგი.

საღამოს 6 საათიდან (18) დაიწყება თბილისის, ასევე მოსკოვის პირველი და მეორე პროგრამები. საღამოს 11 (23) საათზე კი ყველა პროგრამა ამთავრებს მუშაობას. როგორც გაგვიმარტეს, ეს განრიგი ძალაში იქნება 1992 წლის პირველ აპრილამდე.

ქუჩუკი შაუბულიანი

ცაგერის რადიოსარელეო და სატელევიზიო სადგურის უფროსი.

ამ ცოტა ხნის წინ ომარ ნიკოლოზის ძე მინდაძეს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა.

ძნელია ადამიანი ერთი შეხვედრით, მხოლოდ ერთი გულია საუბრით შეაფასო, ჩვენ კი ერთმანეთს მხოლოდ ერთხელ შევხვდით: რედაქციის კედლებში. იგი მოკლებული იყო ჩვეულ სამუშაო გარემოს, ჩვენი საუბრის პირველი ნაწილი კი სწორედ მისი მუშაობის სპეციფიკას შეეხო. შემდეგ საუბარმა სულ სხვა მიმართულება მიიღო, ორივემ ჩვენდამოუოლოდნელად ახალი კალაპოტი მივეცით მოზღვავებულ სასაუბროს— ლეჩხუმი თავისი დღევანდელობით და მომავლით, ამ მშვენიერი კუთხის ფონზე კი პატარა წილამიერის პრობლემების წარმოჩენა, მაგრამ ამაზე შემდეგ. ახლა კი მოკლედ მისი ბიოგრაფიიდან;

ომარ მინდაძე დაიბადა 1947 წელს სოფელ წილამიერში ნიკოლოზ და თამარ მინდაძეების ოჯახში. ორბელის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა წილამიერის კოლმეურნეობაში ფიზიკურად. სსრკ-ს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო თბილისის მილიციის საძართველოში, შემდეგ ქუთაისის მილიციის სამმართველოში, მუშაობასთან ერთად დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1982 წლიდან მუშაობს შინაგანი სამინისტროს ქუთაისის № 2 საგამომძიებლო იზოლატორის უფროსად.

1986 წელს ჩაერიცხა უნივერსიტეტის ასპირანტურაში. 1991 წლის ოქტომბერში უკრაინის იურიდიული აკადემიის დისერტაციონერ საბჭოზე ომარ მინდაძეს მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ამჟამად ლექციების კურსს კითხულობს ქუთაისის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში.

ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი.

* * *

ჩემი პირველი შეკითხვა ასეთი იყო:

—რესპუბლიკაში შექმნილ მძიმე კრიმინალურ სიტუაციაზე რას იტყვით?

—მიმდინარე წლის დასაწყისიდან 15—20 პროცენტით გაიზარდა რესპუბლიკაში, მოხდარ დანაშაულობათა რიცხვი. მუშაობა დღესდღეობით ჩვენთანაც საკმაოდ გართულებულია რესპუბლიკაში შექმნილი კრიმინალური სიტუაციის გამო, ყველა დამნაშავე ჩვენთან იყრის თავს, აქ ხდება მათი საგამომძიებლო იზოლაცია იზოლატორებში და საჭირო ხელისშეწყობა, რომ დაცული იყოს პატიმრის ინტერესები და კანონიერება.

—რა შეიცვალა პატიმრებისადმი თქვენს დამოკიდებულებაში?

—გატარებული იქნა ზოგი ჰუმანური ღონისძიება, გაუმჯობესდა მათი შენახვის პირობები. კანონმა ამნისტიის შესახებ გარკვეული რეზონანსი გამოიწვია მსჯავრდებულებში. მინდა ხაზი გავუსვა, რომ საგამომძიებლო იზოლატორი არაა სისხლის სამართლის სასჯელის აღმასრულებელი დაწესებულება. აქ მოთავსებულ პატიმრებს, რომლებიც ჯერ კიდევ სასამართლოს მიერ არ არიან ცნობილი დამნაშავეებად, ესაჭიროებათ სპეციალური შეღავათი: პატიმრისათვის სასჯელის საქართველოში მოხდაც.

—მსჯავრმოხდილ ახალგაზრდას, რომელიც უბრუნდება ყოველდღიურ ცხოვრებას, ხვდება უამრავი ძნელადმოსაგვარებელი პრობლემა, რაც აიძულებს გამოსავალად ისევ არაწესიერი გზა აირჩიოს...

—დიახ, ეს დიდი უბედურებაა. უნდობლობის თუ სხვა სულ სხვა მიმართულება მიიღო, შეიძლება გაგიკვირდეთ—ეს ორი ერმანეთს, შეგიძლიათ ეს ჟურნალისტების ჭირვეულ ხასიათს დაბრალოთ... და მაინც—ჩვენ. უკვე ლეჩხუმზე ვსაუბრობთ.

—ლეჩხუმელი კაცი ვარ და რადგან თქვენთან მოვედი, არ შემიძლია ლეჩხუმზე, ჩემს გულისტკივილსა და ფიქრებზე ორიოდე სიტყვა არ ვთქვა, უნდა მაპატიოთ, სასაუბრო თემას რომ ვუხვევ... მე მიყვარს ლეჩხუმი და გული მტკივა, რომ მას დღესდღეობით ბევრი რამ აკლია, როგორც სოციალ-ეკონომიკური, ისე კულტურული განვითარებისა და სრულყოფისათვის.

—მე სოფელში დავიბადე, იქ ვავიზარდე, ჩემთვის უცხო არაა მიწის სიყვარული, მასთან ჰიდილი... ეს ხომ საოცარი რამაა, კარგ მეურნე კაცს მიწა თვითონ გასწავლის რა და როგორ უნდა აკეთო... ამის სამაგიეროდ კი ჩვენ ზურგი ვაქცევთ ჩვენს მარჩენალს, დაცარიელდა სოფლები, გამოიკეტა ოდა-სახლები, სევდა ჩამოწვა სოფლის ორღობეებში, მაგრამ საკითხს მარტო ერთი კუთხით ნუ მივუდგებით, უჭირდათ ადამიანებს უგზოობით, უწყლობით, შუა ზამთარში ნავთის ლამპის ამარა ყოფნა, ისინი ხომ ბევრ რამეს მოკლებული იყვნენ ფაქტიურად, ქალაქად ცხოვრება კი,- მოგეხსენებათ, უფრო იოლი რამეა (თუმცა დღესდღეობით ეს ასეა) და წავიდა ლეჩხუმელი კაცი სოფლიდან და არა მარტო ლეჩხუმელი კაცი...

არადა რამდენი რამის გაკეთება შეიძლება აქ, ლეჩხუმში მოსახლეობის დასაქმების თვალსაზრისით. „ლაშიჯალის“ და „ძუღურის“ უნიკალური მინერალური წყლები, რომლებიც მოწონებით სარგებლობენ რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ, წესით დიდი შემოსავლის წყარო უნდა იყოს ლეჩხუმისათვის. აქ კი ამ მინერალურ წყლებზე მისასვლელი გზაც ვერ გაკეთდა, რომ წელიწადის ყველა დროს დაუბრკოლებლად მივიდეს.

შტრიხები პორტრეტისათვის

ერთად ვიქნებით მე და სოფელი

—თავად თუ აპირებთ მშობლიურ სოფელში საბოლოოდ დამკვიდრებას?

—აუცილებლად, ეს ჩემი, ასე ვთქვათ, უდიდესი სურვილია, აქ ხომ მშობლები მელოდებიან. პენსიაში გასვლას ველოდები, მერე კი ერთად ვიქნებით ჩემი ოჯახი, დედ-მამა და მშობლიური სოფელი.

მადონა მახაროგლიძე.

ზამთარია, როგორ შევხვდით?

დადგა ზამთარი, ჩამოთოვა კიდეც. ვინც დროულად მიიღო ზომები მუშა-მოსამსახურეებს, საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელებს შეუქმნეს კიდეც მუშაობისა და ყოფის ნორმალური პირობები. ასეთთა რიგში შეიძლება დავასახელოთ რაისაავადმყოფო, საგზაო სამმართველოები, რაიცენტრის აფთიაქი, № 1 საბავშვო ბაღი, პროფტექნიკური სასწავლებელი და სხვა.

ეკონომიკურ ბლოკადაში მყოფი საქართველო უმძიმეს კრიზისს განიცდის ელექტროენერგიის, გაზისა და სხვა საწვავ-სათბობი რესურსების მხრივ. ამ პერიოდში რომ ელექტროენერგია, საწვავ-სათბობი რესურსები ღავზოგოთ, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა ზამთრის პერიოდში დააწესა მუშაობის სპეციალური რეჟიმი. ქალაქის ბევრი წარმოება-დაწესებულება ითვალისწინებს შექმნილ სიძნელეებს, მაგრამ ყველა სათანადოდ არ მოემზადა ზამთრისთვის და ასეთი დიდი დეფიციტის პირობებში სამუშაო ოთახების გასათბობად ხმარობენ ელექტროგამახურებლებს, რაც ელექტროენერგიის მოხმარებას ერთბაშად ორჯერ ზრდის. ასეთ ოთახებში ტემპერატურა ზოგჯერ ნულზე ეცემა. ეს ფენომენი ბევრ ადამიანს ავადმყოფობას, ანთებებს, ბронქიტებს, ფილტვების ანთებას, ტონზილიტებს, ინფლუენცას, ალერგიულ დაავადებებს, ბრონქიალურ ასთმას, ნევროზებს, ინსულტებს, ინფარქტებს, ტვინის სისხლჩაქცევებს, ოფლიანობას, ალერგიულ ეგზემებს, ფსიქიკურ ავადმყოფობ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველები გვწერენ

თქვენთვის, ბავშვებო!

სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკა ნორჩების საყვარელი ადგილია. ვცდილობთ მკითხველებს სითბო, ღიმილი, სილამაზე დავახვედროთ. მათ იზიდავთ აგრეთვე ბიბლიოთეკაში მოწყობილი სხვადასხვა გამოფენები, ღონისძიებები.

მოკლე ხანში ვაწყობთ ღონისძიებას—„როგორია თქვენი აზრი". ერთ წიგნზე ცალკე ალბომში ვწერთ შთაბეჭდილებას ალბომის წინა გვერდზე გვაქვს შეკითხვები:

შენი საყვარელი გმირი? შენი საყვარელი მწერალი? სხვა პლანეტაზე რომ გაფრინდე, თან რომელ წიგნს წაიღებდი?

ბიბლიოთეკა მუდამ მზადაა გულთბილი მომსახურებისათვის, ბავშვებო!

თ. ტვილდიანი.

მოამაგე

კაცურ კაცად იცნობენ სოფელ ჩხუტელში გორის უბანში მცხოვრებ ვლასი ბესარიონის ძე სვანიძეს. ახლა იგი პენსიონერია, მაგრამ ენერგია ისევ შესაშური აქვს. წელს სახელმწიფო მარანს 1,5 ტონა ყურძენი ჩააბარა. ხშირად გეტყვით—„შრომა თუ გიყვარს, ბარაქა არ დაგაკლდებაო".

მისი ხელი და გული არი ისვენებს. მეწყრისაგან დაზარალებულ ჩვენს უბანში სამანქანო მისასვლელი გზა და დამწვარი წისქვილი აღადგინა, სასმელი წყალიც გამონახა, რის გაჭირვებასაც განვიცდიდით.

ვლასი ელექტრომონტიორი არ არის, მაგრამ მისი დახმარებით განათება წესრიგში დადგა. ახლა ახალი საზრუნავი აქვს—რადიოხაზი უნდა აღადგინოს უბანში.

ღმერთი იყოს სოფლის ამ მოამაგე კაცის მფარველი.

იდღეგრძელოს!

სოფელ ჩხუტელის გორის უბნის მცხოვრებთა სახელით

შ. მურცხვალაძე.

გმადლობთ

უჭირს საქართველოს, უჭირს რაიონს, გაუჭირდა ქვედა ცაგერის ბაგა-ბაღს გამოენახა საჭირო სახსრები ზამთრისთვის შეშის დასახერხად. მშობლებმა დავიწყეთ ფულის შეგროვება საამისოდ, მაგრამ გამოჩნდა პატარა დათოს მშობელი, მამა, რომელმაც ივალდებულა დაეხერხა შეშა პატარებისათვის, შრომის აუნაზღაურებლად.

გმადლობთ გელა, რომ თქვენი შრომა არ დაზოგეთ თქვენი და ჩვენი შვილებისათვის.

მშობლები: დ. გურჯალიანი, ფ. გურასაშვილი, ფ.ბოგიძე, ლ. შკუბულიანი.

ერთ ოჯახში ორ ტელეფონი იყოს...

საერთოდ დადგენილია წესი, რომ როცა აბონენტს ბინაში ედგმება ტელეფონი, მას განემარტება და ხელისმოწერით ერთი ეგზემპლარი ბარდება ვალდებულება, შედგენილი ტელეფონით სარგებლობის დამტკიცებული წესების საფუძველზე.

ტელეფონის საბონენტო გადახდილი უნდა იყოს წინასწარ, მაგრამ არა ნაკლებ ერთი თვისა.

თუ ყოველ თვის (ან აბონენტის სურვილისამებრ ყოველი კვარტლის დასაწყისი თვის, ან ყოველი წლის დასაწყისი თვის) 15 რიცხვისათვის გადახდილი არ იქნება ტელეფონის საბონენტო, ტელეფონი ითიშება, ხოლო თუ 30 რიცხვამდე არ იქნება გადახდილი, აბონენტი უქმდება.

თუ საბონენტო დავალიანება გადახდილი იქნება ტელეფონის გამორთვიდან 30 რიცხვამდე, ტელეფონის ჩართვისათვის დამატებით უნდა გადაიხადოს 2 მანეთი, ხოლო 30 რიცხვის შემდეგ ტელეფონის აღდგენის უფლება აბონენტს უნარჩუნდება კიდევ ერთი თვის ვადით, ისიც იმ პირობით, რომ დავალიანებასთან ერთად დამატებით უნდა ჩარიცხოს ტელეფონის აღდგენისათვის 20 მანეთი. თუ ამ დროშიც არ ჩარიცხა, მაშინ აბონენტი საბოლოოდ უქმდება და მისი აღდგენა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მისი ნომერი და ხაზი გაცემული არ არის სხვაზე, ან არის ახალი ნომრის გაცემის ტექნიკური საშუალება და გადაიხდის თანახმად ტარიფისა 200 მანეთს.

ტელეფონის აპარატის დაზიანების ან ფიზიკურად მისი არ ქონების, აგრეთვე დავალიანების გამო გათიშული ტელეფონი საბონენტო გადასახადისაგან არ თავისუფლდება.

მოსახლეობას ვაცნობებთ აგრეთვე, რომ ბინიდან საქალაქთაშორისო ლაპარაკისათვის ძალზე მოსახერხებელი და სასარგებლოა წინასწარ, საბონენტოსთან ერთად ჩარიცხოთ ავანსი, თქვენი საჭიროებისა და შეხედულების მიხედვით, იმ რაოდენობით, რომ როგორც თვის ბოლოს, ასევე კვარტალის ბოლოს არ დარჩეთ დავალიანებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ტელეფონი გაითიშება ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე.

ასევე შეგიძლიათ წინასწარ შეიძინოთ სალაპარაკო ტალონები, მაგრამ მას აქვს მთელი რიგი უხერხულობანი. ასევე ადგილი აქვს რადიოსაბონენტოს დიდი დაგვიანებით გადახდის შემთხვევებს. ამასთან დაკავშირებით ვაცნობებთ მოსახლეობას, რომ რადიოს საბონენტოს დაგვიანებით გადახდისათვის დაწესებულია საურავის დარიცხვა ყოველი თვის 11 რიცხვიდან, ყოველ გადაცილებულ დღეზე 0,5 კაპიკის ოდენობით, რაც დღემდე არ გაგვიხორციელებია, რადგან ამის შესახებ მოსახლეობა არ გაგვიფრთხილებია, ამიტომ დაბეჯითებით ვთხოვ რადიოს აბონენტებს ამჟამად ყოველგვარი საურავის დარიცხვის გარეშე დაუყოვნებლივ დაფარონ მათზე რიცხული რადიოს საბონენტოს დავალიანება, წინააღმდეგ შემთხვევაში, 1992 წლის 1 იანვრიდან დაერიცხებათ რა საურავი, გადასახდელი ექნებათ მნიშვნელოვნად მეტი თანხა ან მოეხსენებათ რადიო წერტილები.

ფაქტია და უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ზოგჯერ ტელეფონებისა და რადიოს დაზიანებები არ სწორდება დროულად, რაც გამოწვეულია ქვეყანაში შექმნილი არასტაბილური მდგომარეობის გამო, მასალებისა და სათადარიგო ნაწილების მოუმარაგებლობით და მწვავე დეფიციტით. ასევე იმის გამო, რომ კავშირგაბმულობის სისტემაში მოუწესრიგებელია ხელფასის საკითხი და იგი შეადგენს ყველაზე მცირეს სახალხო მეურნეობის ნებისმიერი სხვა დარგის ფიზიკურად მომუშავე მუშაკებთან შედარებით, არ არის გამორიცხული კვალიფიციური და საქმის ერთგული სპეციალისტების ნაკლებობაც. (მონტიორის თვიური ხელფასის განაკვეთი არის 160 მანეთი).

ყველა ამ სიძნელისა და პრობლემის დაძლევისათვის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის ხელმძღვანელობა ატარებს სათანადო ღონისძიებებს, მაგრამ შექმნილი მდგომარეობის გამო მატერიალურად მაინც რომ არ დაზარალდნენ აბონენტები, გთხოვთ ტელეფონის დაზიანების შემთხვევაში, თუ იგი არ გასწორდება რამდენიმე დღეში, კვანძის ხელმძღვანელობის სახელზე შემოიტანოთ (ან გამოგზავნოთ) წერილობითი განცხადება.

ამით, ჯერ ერთი, თქვენ ტელეფონის საბონენტო არ დაგერიცხებათ განცხადების შემოტანის დღიდან ტელეფონის გასწორების დღემდე. მეორე—განცხადება აყვანილი იქნება კონტროლზე და დაჩქარდება დაზიანების აღდგენა, ხოლო თუ ობიექტური მიზეზით შეუძლებელი იქნება მისი დროული აღდგენა, ბუღალტერიას გადაეცემა თქვენი განცხადება სათანადო დასკვნით საბონენტოს ჩამოწერაზე, რის საფუძველზე თქვენს მიერ წინასწარ ჩარიცხული თანხა ჩაგეთვლებათ შემდეგი პერიოდის საბონენტოში.

როგორც აბონენტების მხრიდან ამ სავალდებულო წესების დარღვევა, ასევე კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის მხრიდან მისი საწინააღმდეგო რადიკალური ღონისძიებების გაუტარებლობა, თუ მოსათმენი და სადღაც დასაშვები იყო დღემდე, ამჟამად უკვე ყოვლად დაუშვებელი და შეუძლებელია, რადგან მანამდე დებიტორული დავალიანება იყო თუ არა, დაფინანსება მაინც გვეძლეოდა სამინისტროდან, ხოლო ამჟამად დაფინანსება შეწყვეტილია და არა მარტო აუცილებელი მასალა დანადგარებისა და სათადარიგო ნაწილების შეძენა, არამედ მუშაკებზე ხელფასების გაცემაც კი დამოკიდებულია კლიენტების მხრიდან ტელეფონისა და რადიოსაბონენტოს დროულ გადახდაზე.

იური ჰაბუკიანი,

კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის უფროსი.

შიდსი: ბრძოლა შეიძლება

1 დეკემბერს შიდსთან ბრძოლის დღე აღინიშნა მთელ პლანეტაზე.

შიდსის ვირუსი დაბრკოლების გარეშე მოგზაურობს მსოფლიოში. მისთვის არ არსებობს საზღვრები, ეროვნული კუთვნილება, სოციალური წარმოშობა. ჩვენი სამშობლო არ არის იზოლირებული გარე საძყაროსაგან და დაავადებამ საქართველოშიც შემოაღწია. ოფიციალურად რეგისტრირებულია 9 შემთხვევა, რომელთაგან 5 საზღვარგარეთიდან სასწავლებლად ჩამოსული ახალგაზრდებია, ხოლო 4 ადგილობრივიდან 2 გარდაიცვალა.

შიდსის ეპიდემიის გავრცელების შესახებ არსებული ოპტიმისტური პროგნოზიც კი თავზარდამცემია: საუკუნის მიწურულს ინფიცირებულთა ოდენობა მილიონნახევარს მიაღწევს, ხოლო დაავადებულთა—30.000-ს.

შიდსის გამომწვევი არის ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (აიკა), რომელიც ორგანიზმში მიხვედრის შემდეგ იწვევს იმუნური სისტემის დასუსტებას-იმუნოდეფიციტს.

ვირუსი საკმაოდ მგრძნობიარეა გარე ფაქტორების მიმართ.

სიმპტომები, რომელიც შეიძლება გახდეს დაავადების ეჭვის საფუძველი, შეიძლება იყოს: საერთო სისუსტე; ოფლიანობა; ლიმფური კვანძების სტაბილური გადიდება (განსაკუთრებით კისრის და იღლიის ფოსოში), ქრონიკული ფაღარათი 1-2 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში; ხანგრძლივად მიმდინარე კანის ლორწოვანი გარსის ჩირქოვანი დაავადებები; ფილტვების ანთება, რომელიც არ ემორჩილება ტრადიციული მეთოდებით მკურნალობას; უმიზეზოდ წონაში დაკლება. დაავადების წყარო არის ადამიანი. ვირუსის გადაცემა ხდება სქესობრივი კავშირით, ინფიცირებული სისხლის ან მისი პრეპარატების გადასხმით, ინფიცირებული სისხლით დაბინძურებული სამედიცინო ინსტრუმენტების გამოყენებით.

უმკაცრესი კრიზისის პირობებში, როცა სამთავრობო ორგანიზაციებს და მთლიანად სახელმწიფოს არ ძალუძთ შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიის სათანადო დონეზე წარმართვა, საზოგადოების ვალია შეძლებისდაგვარად თავისი წვლილი შეიტანოს საქმეში, რომელიც კაცობრიობის № 1 პრობლემის ხასიათს იღებს. იმ პირობებში, როცა მთელი კაცობრიობა დგას ფიზიკური განადგურების საშიშროების წინაშე, მცირეოდენ ერებს, უკიდურესი მობილიზება გვმართებს.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით არ არის შექმნილი ეფექტური სამკურნალწამლო საშუალება ვირუსის წინააღმდეგ, პანიკას არ უნდა მივეცეთ, მით უმეტეს, რომ ცნობილია გადაცემის გზები, რაც აადვილებს დაავადების გავრცელების ბლოკირებას.

ვეცადოთ ყველამ ერთად და ცალ-ცალკე გავაკეთოთ ყველაფერი ამ საშინელი სენის გავრცელების აღსაკვეთად, რათა საქართველომ რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლი გაიღოს, ჩვენ ისედაც ცოტანი ვართ.

ი. კოპალიანი,

ცაგერის რაიონეპიდსადგურის ექიმი ეპიდემიოლოგი.

ხსოვნა

ალბათ გრძნობდი, რომ ახლა ხანმოკლე იქნებოდა შენი სიცოცხლე, გრძნობდი და იმიტომ გსურდა ყველას სიყვარული დაგეტია გულში.

უკვე მეთოთხმეტე 10 დეკემბერი მოვიდა, რაც შენ ჩვენი ოჯახის საყვარელი რძალი გახდი. 1977 წლის 10 დეკემბერს შემოხვედი რომან მიქაძის ოჯახში ერთადერთი ვაჟის რაინდის მეუღლედ იმერელი ქალი ლია ნიკოლაძე.

6 წელი გაატარე მხოლოდ შენს

ლია ნიკოლაძე-მიქაძე

საყვარელ ლეჩხუმში და ქმარ-შვილში. მეშვიდე 10 დეკემბერს ველარ მოესწარ, გიმუხთლა ბედმა, გიღალატა ჯანმრთელობამ, ჩაგიტყდა ხიდი, როცა შენი პაწია გივი (გიჩო) ოთხი წლისა ხდებოდა, წადი ჩვენგან და დაგვიტოვე გაუნელებელი სევდა ოჯახს და ქმარ-შვილს, ჩაქრა მიქაძეების ოჯახში შენგან შემოტანილი დიდი სითბო და სიყვარული. დრო მკურნალიაო, იტყვიან, მაგრამ უშენობას დრო ვერ კურნავს და დაგვრჩი დარდად, ცალუღლად დარჩენილი შენი მეუღლე ეწევა მარტოხელა ცხოვრებას, არ გივიწყებს, აფასებს შენს სახელს: იზრდება შენი ბიჭი, უკვე მეექვსე კლასშია, იზრდება დედულეთში, უვლის შენს საფლავს და სწავლობს ფრიადზე.

შენი ფესვები ნედლია მისგან, გიხსენებთ თვალცრემლიანნი.

შენი საყვარელი ოჯახი:

მეუღლე რაინდი, შვილი გიჩო, დედამთილი ბაცუნია, მულები ლეილა, ლალი მიქაძეები.

რედაქტორის მოადგილე მ. ძნელაძე.

ბილოცავთ

სახალხო მეურნეობის მუშაკებს!

ირა სალინაძეს
გიგლა ლეთოდიანს

გილოცავთ ბედნიერებას. ფაგბედებოდეთ ნატერის ახლება. იცოცხლეთ და იღღეგრძელეთ მრავალჟამიერ.

მარინე, მირზა ჩაკვეტაძეები, ია მდივანი, გულო მეშველიანი, მარინე ლეთოდიანი, ლია ლიპარტელიანი მარინე ბენდელიანი, ნათელა, ნუნუ, მთვარისა კოპალიანები.

ხათუნა ჟორას ასულ გენდელიანს
ამირან შოთას ძე ხვადაგიანს

გილოცავთ ბედნიერებას, შეგექმნათ ფუძეძლიერი და შვილძრავალი ოჯახი.

ციცინო ნემსწვერიძე, ვალენტინა კოპალიანი, ლუბა ფუტკარაძე.

ირა მიშას ასულ სალინაძეს
გიგლა სეითოს ძე ლეთოდიანს

გილოცავთ ბედნიერებას. იცოცხლეთ და იღღეგრძელეთ შრავალჟამიერ. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

სოფო, მანა, აჩიკო ჩაკვეტაძეები.

ნანა ახვლედიანს
ბატო თვარაძეს
ნანა ცვარიანს
ზურიკო ყურაშვილს

გილოცავთ ბედნიერებას, ფუძეძლიერი ყოველ კარს. თქვენი ოჯახები. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

მერაბ სვანიძე, ზურაბ თვარაძე ოჯახებით.

ხათუნა ჟორას ასულ გენდელიანს
ამირან შოთას ძე ხვადაგიანს

გილოცავთ ბედნიერებას. შეგექმნათ ფუძეძლიერი და ჯანსაღი ქართული ოჯახი. მრავალი ძე-ასული გაგეზარდოთ ერის საკეთილდღეოდ.

მამუკა, მამია ბენიძეები.

ხათუნა ჟორას ასულ გენდელიანს
ამირან შოთას ძე ხვადაგიანს

გილოცავთ ბედნიერებას. სიხარული და სიყვარული, შვილთა სიმრავლე დაგბეჭდებოდეთ.

ზაირა, ბონდო ყურაშვილები.

ირა სალინაძეს
გიგლა ლეთოდიანს

გილოცავთ ბედნიერებას, გფარავდეთ წმინდა ნიხოს ჯვარი.

ნათლული რუსუდან რევაზის ასული ბურჯალიანი.

ირა სალინაძეს
გიგლა ლეთოდიანს

გილოცავთ ბედნიერებას. შვილთა სიმრავლე და ღვთის წყალობა ნუ მოგკლებოდეთ.

თამაზ მდივანი ოჯახით.

ბილოცავთ

ტულუ ხაგულიანს

სულითა და გულით გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ღმერთი იყოს შენი მფარველი.

დათო, თემო ლეთოდიანები.

ნინიკო ჟორას ასულ სილაგაძეს

სულით და გულით გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ბედნიერებას ცხოვრების გზაზე.

ნორა ნათლია.

გრიგოლ ლუარსაბის ძე ბენდელიანს

გილოცავთ დაბადებიდან 69 წლის შესრულებას. გისურვებთ უფრო სიხარულს, ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს.

თენგიზ კოპალიანი ოჯახით.

მაია პაატას ასულ ხეცურიანს

გილოცავთ დაბადების დღეს. გაიზარდე კარგ ქართველ ქალად.

პაატა, ზვიადი, დოდო, ლუბა.

ნატო ჯემალის ასულ დავითულიანს

გილოცავთ დაბადების დღეს. გაზაფხულივით ლამაზი ყოფილიყოს შენი ცხოვრება. გფარავდეს ღმერთი.

გიორგი, კობა ლიპარტელიანები.

სოფო, გოჩა, ფოთოლა, თამაზ სვანიძეებს
ლეილა ხვადაგიანს, ვახტანგ ომანაძეს

გილოცავთ შვილის, ქალიშვილის და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი, ეჭი ესახელებინოს.

ზაურ ახვლედიანი, ჯაბო დავითულიანი ოჯახებით.

შვილები თინა, დავითი (დუშუ), შვილიშვილები კახა, კარლო (ტატო), დათო კოპალიანები, ძმა იონა თვარაძე, რძლები ნანი სილაგაძე, იზო მურცხვალაძე, მაია ქვარცხავა, ლოლა კალაძე, მული ოლა ფირცხალავა, მზახალი სონია სილაგაძე, ძმისწულები, დისწულები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, მაზლიშვილები, მულიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვერა ილარიონის ასული
თვარაძე-კოპალიანი

დაკრძალვა ხუთშაბათს, 19 დეკემბერს, ქ. ცაგერში, გამოსვენება ქვედა ცაგერიდან.

ცაგერის საშუალო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს ნატო ასლანიკაშვილს დედამთილის

საშა ახვლედიანის

გარდაცვალების გამო.

ლაჯანის სკოლა-ინტერნატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მაყვალა, გრიგოლ ბურჯალიანებს დედისა და სიდედრის

მარო ხერგიანი-გოგებაშვილის

გარდაცვალების გამო.

ჯანუბი ხვადაგიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

საშა ახვლედიანი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

№ 2 ორმოკაბინიანი სახლის მცხოვრებლები თანაუგრძნობენ რეზო, ილუშა, ნატო, გულო ასათიანებს დედისა და დედამთილის

საშა ახვლედიანის

გარდაცვალების გამო.

ლია, გურამ, გია, გოგიტა გოგებაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მარო ხერგიანი-გოგებაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ბაცუ გვიშიანი, სევარიონ, ნოდარ მუშკუდიანები, გივი მურცხვალაძე, დემურ, ზურაბ ნემსწვერიძეები, მიშა ქარსელაძე, ჯონი ყვირილიანი, ოთარ ქლიბაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალნენ

ვერა ჩიქოვანი
და
ალმა ყურაშვილი.

ბიქტორ ყურაშვილი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

მარიამ არსენის ასული
მამარდაშვილი-ყურაშვილი

სეით ქომეთიანი, თამაზ ყურაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მარიამ მამარდაშვილი-ყურაშვილი

ბახვა ჭიღვარია, ავთო ბენიძე ოჯახებით იუწყებიან

საშა ასათიანის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ლაჯანის სკოლა-ინტერნატის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მურმან მელიტონის ძე
ნემსწვერიძე

კოლმშენის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ქიშვარდ ყურაშვილს ბიძისა და ბიცოლის

აბესალომ ყურაშვილის

და

მარიამ მამარდაშვილის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე კლარა, შვილები ძმია, ვალერი, კობა, და სულიკო, ძმა შამილი, რძალი მანანა მინდაძე, სიძეები იუზა პატარიძე, დათო ჩახულიანი, ძმისშვილი ზურაბი, დისშვილები თემური, თამილა, ბიძები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ცოლისდები, ცოლისძმები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მურმან მელიტონის ძე
ნემსწვერიძე

დაკრძალვა სოფ. ლაჯანაში.

ია თამარი, ძმები ინდისი, დავითი, რძლები მარიამი, მაყვალა, ლილი, ძმისშვილები ამირან, მამუკა, ნინო ყურაშვილები, სიძე ნოე ახვლედიანი, დისშვილები პაატა, შორენა ახვლედიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შიო ვასილის ძე ყურაშვილი.

ლაჯანის სკოლა-ინტერნატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ცისანა ლაკვეხელიანს ბიცოლის

მარო ხერგიანის

გარდაცვალების გამო.

ბუდუ ომანაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

სერგო ნარიმანის ძე ასათიანი.

ქალაქის № 1 ორმოკაბინიანი სახლის მცხოვრებლები თანაუგრძნობენ მანანა და იური ჩხეტიანებს დედისა და სიდედრის

მარიამ ყურაშვილის

გარდაცვალების გამო.

გრიშა, გურამ შკუბულიანებიო' გენური ახვლედიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ელისო, კობა გოგიძეებს მამის და სიმამრის

ოთარ ვერულაშვილის

გარდაცვალების გამო.

ლაჯანის სკოლა-ინტერნატის IX კლასის მოსწავლეები თანაუგრძნობენ გრიგოლ ბურჯალიანს სიდედრის

მარიამ ხერგიანის

გარდაცვალების გამო.

ლასურიაშის საშუალო სკოლის პედკოლექტივი, ტექნიკური პერსონალი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სკოლის ყოფილი მასწავლებელი

ვაჟა ვასილის ძე ჭაბუკიანი.

რძლები ჟუჟუნა კაბოსნიძე, ანიკო სანთელაძე, ბიძაშვილები ამალია, ჟუჟუნა, გოგუცა, ალექსანდრე ქარსელაძეები, სიძეები ნოდარ მესხაძე, ნოდარ გოქაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით (დათო) პავლეს ძე
ქარსელაძე.

დანიელ ყურაშვილი, ზაურ ბენიძე, კოლია ფუტკარაძე ოჯახებით იუწყებიან

ვერა ნესტორის ასული
ჩიქოვანი-ყურაშვილის

გარდაცვალებას.

ოყურეშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მარიამ არსენის ასული
მამარდაშვილი.

ცაგერის საშუალო სკოლის 1981 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ ნატო ასლანიკაშვილს დედამთილის

საშა ახვლედიანის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ლუცია, შვილი ნაიელა, შვილიშვილები დავუ, მანანა, ძმა [illegible], ცოლი ბალია, ფედოსი, [illegible] დონ მანარობლიძე, ბონდო გურგუჩიანი, რძლები კლავდია, ნანა, ლიანა, ცოლისძმა ინდისი გოქაძე, დისშვილები, ძმისშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები, უახლოესი ნათესავები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შალვა ქრისტეფორეს ძე
ხეცურიანი

დაკრძალვა ხუთშაბათს, 19 დეკემბერს, სოფ. ლაილაში.

მეუღლე პიმენი, შვილები მევლუდი, დემური, რძლები ლია, გულო, ლილი, დუდუშა, გუგული, შვილიშვილები მერაბი, მირიანი, მარინე, თამუნა, ძმა შარდენი, და სერონ, მა ლები შამშე, გერონტი, მული [illegible], ძმისშვილები, დისშვილები, ძულასშვილები, მაზლისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზინა ილარიონის ასული
გოგებაშვილი-მეგრელი

დაკრძალვა 15 დეკემბერს, კვირას 3 საათზე სოფ. ორბელში.

ძმა გრიგოლი, და ბაბი, რძალი ნინა მუშკუდიანი, ძმისშვილები თამაზი, ლალი, ფალი, დისშვილები დათო, მანანა, მაია, ქეთინო, სიძეები შანგელ ხვადაგიანი, სოსო დავითულიანი, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სამსონ იოსების ძე კვირკაშვილი.

დაკრძალვა 15 დეკემბერს, კვირას, სოფ. ჩხუტელში.

შვილი რეზო, რძლები ლამარა, ელზა, შვილიშვილები მარინე, ელისო, ხათუნა, ნათია, თამუნა, ძმა აკაკი ბრეგვაძე, ძმისშვილები, მაზლი შოთა მუშკუდიანი, მულები სონა, გოგუცა, მაზლიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნადია ალექსანდრეს ასული
ბრეგვაძე

დაკრძალვა 15 დეკემბერს, კვირას, სოფ. ლასურიაშში.

რაიონის პრეფექტურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გულვერ, როსტომ ბრეგვაძეებს მამიდაშვილის

ვაჟა ჭაბუკიანის

გარდაცვალების გამო.

დოდო, ნოდარ ნემსაძეები თანაუგრძნობენ ნანი, დავით კოპალიანებს დედის

ვერა კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

რიკოოპერატივის, პურკომბინატის და საზკვების გაერთიანების თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

საშა ილიას ასული ახვლედიანი.

ლენორა გიორგობიანი, მერი ხეცურიანი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სულიკო გვიშიანი.

ქორა ახვლედიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

შირმან მდივანი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

დავით, ბიჭიკო, შარდენ სვანიძეები ოჯახებით იუწყებიან

ვაჟა ვასილის ძე ჭაბუკიანის

გარდაცვალებას.

საქართველოს ეროვნული სიტყვის სახელმწიფო დეპარტამენტის ჭუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.